

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი # 22

ქ.თბილისი

2018 წლის 26 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 26 სექტემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ჯალაღონიას ოქმი და მატჩის ოფიციალურ პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 23 სექტემბერს, დიდი 10-ს მატჩზე, თბ „არმია“-სა და მარნეულის „არმაზს“ შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „არმია“-ს მწვრთნელი ლაშა ბაირამაშვილი - მატჩის ოფიციალური პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „არმია“-ს მწვრთნელი ლ. ბაირამაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 26 ოქტომბრამდე.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბს დაეკისრება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.

4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ თბ „არმია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/